# [იანვარში საქართველოს საგარეო ვალი $ 32.56 მილიონით გაიზარდა]



**ბოლო 1 თვეში საგარეო ვალი 32.56 მლნ დოლარით გაიზარდა და 5.466 მლრდ დოლარს გადააჭარბა, თუმცა ლარში ვალდებულებები, კურსის ცვლილების გამო, 31 მლნ ლარით 14.51 მლრდ ლარამდეა შემცირებული.**

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, იანვარში შემოსული თანხის მოცულობა 46.47 მლნ დოლარი იყო, ძირითადი თანხის დაფარვისთვის 26 მლნ გადაიხადა ქვეყანამ, პროცენტებში კიდევ 12.5 მილიონი.

იანვარში საშინაო ვალი 46.5 მილიონით შემცირდა – 3.2 მილიარდამდე. ჯამში კი, სახელმწიფო ვალის მოცულობა 77.5 მლნ ლარით 17.72 მილიარდამდეა დაკლებული.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალი არ მოიცავს ე.წ ისტორიულ ვალს